ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3296328

ნომერი: AR1505961

თარიღი : 22.05.2017

გაცემის თარიღი : 06.06.2017

გაცნობის თარიღი : 06.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ "მზიური"-ს ტერიტორიიდან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ხატიაშვილი პ/ნ 01025014502
- შარტავას ქ. 45 ბ.84

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1505961 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, #01.14.14.005.160 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე წარმოების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას, ასევე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" მოთხოვნის შესაბამისად დაინტერესებული პირის მიერ

შესაბამისი დოკუმენტაციის ალებს.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 12 აპრილის #AR1495364 განცხადების საფუძველზე ქ. თბილისში, #01.14.004.005.160 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის საკითხი განიხილულ იქნა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2017 წლის 20 აპრილის სხდომაზე, სადაც მიეცა უარყოფითი შეფასება ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ „მზიური"-ს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:#01.14.14.005.160) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების გაცემაზე, შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით. (სამსახურის 11.05.2017წ. #3227992 წერილი)

2017 წლის 22 მაისს #AR1500509 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე გია კლიმიაშვილმა და კვლავ მოითხოვა ქ. თბილისში, #01.14.004.005.160 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2017 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.